სიტუაცია

ჩემს კლასში ამ ბოლო დროს სიტუაცია დაიძაბა. ჩემი კლასელი ელენე გუგამ და მიშიკომ ამოიჩემეს, მუდმივად დასცინიან. გუშინ დღიური მოჰპარეს, ელენეს საიდუმლოებებს ხმამაღლა კითხულობდნენ და „ხალისობდნენ“. საწყალი ელენე კი თვალცრემლიანი სახით უსმენდა, მაგრამ პროტესტი არ გამოუთქვამს. კლასიდან არცერთი ბავშვი არ გამოსარჩლებია ელენეს, ყველა გულგრილად ისმენდა მის დამცირებას. ძალიან მადარდებს არამარტო გუგას და მიშიკოს საქციელი, არამედ კლასის გულგრილობაც. ჩვენი კლასის დამრიგებელი საქმის კურსშია, მაგრამ არაფერს აკეთებს ამის აღმოსაფხვრელად.

- გამოკვეთეთ და გააანალიზეთ პრობლემა.
- მიეცით კოლეგას რეკომენდაციები და დაასაბუთეთ მათი მართებულობა.